პროფესიით დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობის კომიტეტის 2025-2027 წლების სამოქმედო გეგმა

წინამდებარე სამოქმედო გეგმა შედგენილია კომიტეტის დებულებით განსაზღვრული მიზნებიდან გამომდინარე

	დაგეგმილი ღონისძიება	ღონისძიებაზე პასუხისმგებელი	ღონისძიების მხარდაჭერა	შესრულების პერიოდი
1	,,ბაფის წევრების მიერ პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა (IESBA Code) და ხარისხის კონტროლის სისტემის მიმართ დადგენილი მოთხოვნების დარღვევის გამოვლენისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების წესის“ და მასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ნორმების ცვლილებების პროექტის მომზადება და ზედამხედველობის სამსახურისთვის წარდგენა	კომიტეტი; ეთიკისა და დიციპლინარული კომიტეტი.	ბაფის გამგეობა, აღმასრულ. სტრუქტურა	2025 წლის ოქტომბერი
2	მცირე და საშუალო ბიზნესის (მსბ) ბუღალტერთა პროფესიული კომპეტენციის დადასტურებისა და სერტიფიცირებულ ბუღალტერთა რეესტრის წარმოებასთან დაკავშირებული “ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-10 და მე-11 მუხლებში ცვლილებების პროექტის ინიცირებაზე ზედამხედველობის სამსახურთან თანამშრომლობა	კომიტეტი; განათლების კომიტეტი.	ბაფის გამგეობა, აღმასრულ. სტრუქტურა	დეკემბერი 2025 წ
3.	პროფესიული სერტიფიცირების სტანდარტში შესაძლო ცვლილებებთან დაკავშირებით ზედამხედველობის სამსახურთან თანამშრომლობა	კომიტეტი; განათლების კომიტეტი.	ბაფის გამგეობა, აღმასრულ. სტრუქტურა	სექტემბერი 2025 წ.
4.	ზედამხედველობის სამსახურის მიერ, არასავალდებულო აუდიტის განმახორციელებელი კომპანიების ხარისხის მონიტორინგის, პროფესიულ ორგანიზაციებზე დელეგირების - პროექტის ფარგლებში: პროექტის კონცეფციის ჩამოყალიბება და გამგეობაზე წარდგენა: ხარისხის მონიტორინგის დელეგირების პროექტის კონცეფციის განხილვის მიზნით სარასთან შეხვედრები;	კომიტეტი. ბაფის გამგეობა.	ბაფის გამგეობა, აღმასრულ. სტრუქტურა	დეკემბერი, 2025 წ. პერიოდულად 2025-2027 წ.წ.

	პროექტის განხორციელების მიზნით ბაფის მართვის სტრუქტურული ცვლილებებისა და შესაძლო საკანონმდებლო ცვლილებების პროექტებზე მუშაობა და შესაბამისი სამუშაო შეხვედრების ორგანიზება-განხორციელება.			მუდმივად
5.	ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ, განსახილველად წარმოდგენილი პროფესიის მარეგულირებელ ნორმებში ცვლილების პროექტების ბაფის წევრებთან განხილვა, კომიტეტზე პოზიციების შეჯერება და ზედამხედველობის სამსახურისთვის მიწოდება.	კომიტეტი	ბაფის გამგეობა, აღმასრულ. სტრუქტურა	მუდმივად, ცვლილებების პროექტების შესაბამისად
6.	ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) რეგიონალურ წარმომადგენელთან სისტემატიური კონტაქტი, ბაფის 2025-2027 წლების სამოქმედო გეგმისა (SMO) და თანამშრომლობის სხვადასხვა ასპექტებზე.	კომიტეტი	ბაფის აღმასრულ. სტრუქტურა	მუდმივად
7.	ბუღალტერთა პროფესიულ გაერთიანებებთან თანამშრომლობის გაფართოება.	კომიტეტი	ბაფის გამგეობა, აღმასრულ. სტრუქტურა	მუდმივად
8.	ბიზნესის მდგრადი განვითარებისთვის პროფესიის მხარდაჭერის ფარგლებში ბიზნესასოციაციებთან თანამშრომლობის გაფართოება, ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვა და ორგანიზება.	კომიტეტი	ბაფის გამგეობა, აღმასრულ. სტრუქტურა	მუდმივად
9.	ბაფის სერტიფიცირების პროგრამების, მნიშვნელოვანი ღონისძიებებისა და პროექტების შესახებ პროფესიით დაინტერესებული საზოგადოების ინფორმირებულობა (შეხვედრების, საჯარო ლექციების, სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვა და ორგანიზება)	კომიტეტი	ბაფის აღმასრულ. სტრუქტურა	პერიოდულად
10.	ბაფის პარტნიორ, ადგილობრივ და საერთაშორისო, ორგანიზაციებთან თანამშრომლობა	კომიტეტი	ბაფის გამგეობა, აღმასრულ. სტრუქტურა	მუდმივად

11	პროფესიასთან დაკავშირებულ თემებზე, ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობა	კომიტეტი	ბაფის გამგეობა, აღმასრულ. სტრუქტურა	პერიოდულად

კომიტეტის თავმჯდომარე:

რუსუდან ჟორჟოლიანი